1. **სადოქტორო პროგრამა** - ისტორია

ქვედარგი - ახლო აღმოსავლეთის ისტორია

დოქტორანტის პოტენციური ხელმძღვანელი - ზ. ბატიაშვილი

კვლევის თემატიკა და ანოტაცია - „თანამედროვე თურქეთი და რეგიონის უსაფრთხოების საკითხი: მიდგომები და ტენდენციები“

თურქეთი საქართველოს მეზობელი და ნატოს წევრი ერთადერთი მეზობელი ქვეყანაა. ამასთან იგი საქართველოსთვის ნომერ პირველი სავაჭრო პარტნიორია.

ცივი ომის“ პერიოდში თურქეთისთვის შავი ზღვა და კავკასიის რეგიონი საბჭოთა საფრთხესთან ასოცირდებოდა და ამ მიმართულებით თურქულ-ამერიკული ერთობლივი „შეკავების პოლიტიკა“ ხორციელდებოდა. საბჭოთა კავშირის დაშლისა და, მოგვიანებით, თურქეთის მიერ უფრო მეტად დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარების შემდეგ კი ანკარამ საფრთხეების აღქმა რადიკალურად შეცვალა. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ შავ ზღვაზე დასავლეთისა დათურქეთის ინტერესები ზოგჯერ არა თუ არ ემთხვევა ერთმანეთისას, არამედ, ხშირ შემთხვევაში, მათ შორის წინააღმდეგობებსაც ვხედავთ

თურქეთი, უსაფრთხოების თვალსაზრისით, უამრავი პრობლემისა და გამოწვევის წინაშე დგას. იმაზე, თუ როგორ შეძლებს ანკარა მათთან გამკლავებას, ბევრადაა დამოკიდებული როგორც თურქეთის მომავალი, ისე დიდწილად მისი სამეზობლოს უსაფრთხოება.

ნებისმიერი სახის გართულება და არასტაბილურობა საქართველოს საზღვრების სიახლოვეს უარყოფით გავლენას მოახდენს როგორც ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებაზე, ისე საგარეო პოლიტიკასა და ეკონომიკაზე. ამდენად, საქართველოს ინტერესებშია სტაბილური, დემოკრატიული და წარმატებული თურქეთის ყოლა ახლო სამეზობლოში.

დოქტორანტის ფინანსური მხარდაჭერა

საქართველოს უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულების თანახმად, დოქტორანტი უფლებამოსილია მიიღოს გრანტი კვლევითი კომპონენტების შემადგენელი აქტივობების დასაფინანსებლად უნივერსიტეტში მოქმედი წესის შესაბამისად.